საგადასახადო დავალება
Payment Order

1741782789 GEL

მიღების/შესრულების თარიღი: 2025-03-13
Receipt/Execution Date

თიბისი ბიზნესისთვის

ს.ს. "თიბისი ბანკი"

გადამხდელი / Sender		რეფერენსი / Ref. Num.
შპს მაქრო ქონსთრაქშენ, 445433120		15213112645
გადამხდელის ანგარიში / Sender's Account	GE16TB7819336050100003	თანხა / Amount
გადამხდელის ბანკი / Sender's Bank	ბანკის კოდი / Bank Code	15000.0GEL
სს "თიბისი ბანკი"	TBCBGE22	თანხა სიტყვიერად Amount in words
ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა **Information on a person on behalf of whom the payment is made**		თხუთმეტიათასი ლარი და 00 თეთრი
დასახელება / Name	შპს მაქრო ქონსთრაქშენ, 445433120	
საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code	445433120	**წარდგენის თარიღი** **/ Document Submission Date**
მიმღები / Receiver		2025-03-12
ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ		
სახაზინო კოდი / Treasury Code	300773263	
ხაზინა / Treasury	ბანკის კოდი / Bank Code	ხელმოწერა Signature
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური	TRESGE22	
გადახდის დანიშნულება / Operation Details		
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო		
დამატებითი ინფორმაცია / Additional Information		
დადგენილება 002764		

ხელმოწერები
Signatures

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოთხსენებულ ხელშეკრულებას

დადგენილია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01243372013**
თარიღი: **02/12/2024**

ადრესატი: მიხეილ შავდათუაშვილი
პირადი ნომერი: 01017011751
მისამართი: თბილისი გუდაურის ქ. N 1

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 19/01243252151-18
წერილის თარიღი:	20 ნოემბერი, 2024
განმცხადებელი:	მიხეილ შავდათუაშვილი
მისამართი	ქ. თბილისი, ქუჩა კოსტავა, N65; N67-ის მიმდებარედ
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.10.13.041.062
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „კენ. კონსტრაქშენ“
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	მინდობილობა მწვანე ნარგავების შესყიდვის ხელშეკრულება
დასკვნა: დადებითი	

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, პირველი მუხლის მე-2 პუნტი, N11-58 დადგენილების მე-2 მუხლი, N11-58 დადგენილების 29-ე მუხლის მე-2, მე-5 პუნქტები, N11-58 დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი, მე-4, მე-7, მე-8 პუნქტები, N11-58 დადგენილების 31-ე, 32-ე, 34-ე, 38-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია, 2017 წლის 24 ივლისის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის ბრძანება ,,ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“.

სამსახურის პოზიცია

მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვა გაიცემა, ტერიტორიაზე არსებულ, ზეხმელ, ხმობად, დაავადებულ,

ფაუტ, გადაბერებულ, ავარიულ მწვანე ნარგავებზე. ვინაიდან ტერიტორიაზე არსებული 1 ძირი თუთა N1(D-66) ხმობადი/დაავადებულია, შესაბამისად სამსახური გასცემს მისი მოჭრის ნებართვას.

ინფორმაციული

ნარგავის ჭრის ნებართვის მიმღები ვალდებულია ჭრის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (ჭრის დაწყებამდე არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე), წინააღმდეგ შემთხვევაში, ნარგავის ჭრა ჩაითვლება უკანონოდ.

ასევე, გევალებათ, მოჭრილი ხეების სანაცვლოდ, ნებართვის მიღებიდან მცენარეთა განვითარების პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, **იმავე საკადასტროზე** აგროტექნიკური ნორმების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით საკომპენსაციო რგვა და დარგული მწვანე ნარგავის შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობა.

ნებართვის მიმღები ვალდებულია საკომპენსაციო რგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (დარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავის საკომპენსაციო რგვის ვალდებულება ჩაითვლება შეუსრულებლად.

საკომპენსაციო რგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ უნდა წარმოადგინოთ დარგული მცენარის მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, საკომპენსაციო რგვიდან 3 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავის გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ განმეორებითი საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ხე-მცენარის შესყიდვის ხელშეკრულება N 19/11/24

ქ. თბილისი 19.11.2024 წ.

ერთი მხრივ, **ინდ. მეწარმე მარინე სიფრაშვილი (პ/ნ: 01005014669)** (შემდგომში წოდებული როგორც „გამყიდველი“) და მეორე მხრივ, **შპს „მაქრო ქონსთრაქშენ“ (ს/კ: 445433120)** წარმოდგენილი მისი **დირექტორის სერქან ოზერის (პ/ნ U28798619) მინდობილი პირის ევგენი ნესტერენკოს სახით** (შემდგომში წოდებული როგორც „მყიდველი“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით „გამყიდველი“ ყიდის, ხოლო „მყიდველი“ ყიდულობს „გამყიდველის“ პროდუქციას, კერძოდ 2 (ორი) ძირ ფოთლოვან მარადმწვანე კვიდოს და 2 (ორი) ძირ მარადმწვანე წიწვოვან ტუიას დანართი 1-ის შესაბამისად. ამასთან მხარეები თანხმდებიან რომ შესაძლებელია ოთხივე მცენარე იყოს ერთი სახეობის. აღნიშნული მცენარეების ზუსტი მახასიათებლები განისაზღვრება კონკრეტულად უშუალოდ მშენებლობის დასრულების შემდეგ, როდესაც ტერიტორიის კეთილმოწყობის ეტაპი დაიწყება, თუმცა იგი აუცილებლად უნდა იყოს დანართი N1-ით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 01 ნოემბრის N 18-01243063023 წერილი) განსაზღვრული მახასიათებლებების.

2. მხარეთა უფლება მოვალეობები

2.1 გამყიდველი ვალდებულია:

2.1.1 გადასცეს და უზრუნველყოს ხე-მცენარეების დარგვა (ხელშეკრულების დანართი 1-ით გათვალისწინებული პარამეტრების შესაბამისი) მყიდველის მოთხოვნის შესაბამისად და მის მიერ მითითებულ ვადაში .

2.1.2 მყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მოახდინოს ხელშეკრულების საგნის ტრანსპორტირება „მყიდველის“ ტერიტორიამდე (მის: ქ. თბილისი, მ. კოსტავას გამზირი N 65-67), სადაც გამყიდველმა თავად უნდა განხორციელოს ხე-მცენარის დარგვა.

2.1.3 წინამდებარე ხელშეკრულების დანართი 1-ით გათვალისწინებული პარამეტრების დაცვით, მშენებლობის დასრულების შემდგომ მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული ხე-მცენარეების დარგვა.

2.1.4 ხელშეკრულების დანართი 1-ის შესაბამისად, ხე-მცენარეების დარგვის შემდგომ, განახორციელოს აღნიშნული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობა 3 (სამი) წლის განმავლობაში (მოვლა-პატრონობის ვადა აითვლება ხე-მცენარეების დანართი 1-ის შესაბამისად დარგვის დღიდან).

2.1.5 იმ შემთხვევაში, ხე-მცენარეების მახასიათებლები არ იქნება დანართი 1-ით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი, ან/და მათი დარგვა არ განხოციელდება შესაბამისი მოთხოვნების დაცვით ან/და ხე-მცენარეები იქნება ნაკლის მქონე გამყიდვებული ვალდებულია თავისი ხარჯებით განახორციელოს ხე-მცენარეების ჩანაცვლება ვარგისი, დანართი N1 ით გათვალისწინებული მახასიათებლების შესაბამისი ხე-მცენარეებით, მათი ხელახალი დარგვა და მოვლა პატრონობა, ტრანსპორტირების ჩათვლით.

2.1.6 მოვლა-პატრონობისთვის განკუთვნილ 3 (სამი) წლიან პერიოდში დარგული ხე-მცენარეების გახმობის შემთხვევაში, განახორციელოს აღნიშნული ხე-მცენარეების ხელახლა დარგვა მყიდველისთვის დამატებითი ანაზღაურების მოთხოვნის გარეშე.

2.1.7 ხე-მცენარეების დასარგავ ტერიტორიაზე მშენებლობის დასრულებამდე განახორციელოს შესყიდული ხე-მცენარეების შენახვა.

2.1.8 დროულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

2.1.9 მყიდველის შესაბამისი შეტყობინებების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში, თავისი ხარჯით აღმოფხვრას მიწოდებული პროდუქციის ნებისმიერი ნაკლი, რომლის გამოვლენა ვერ მოხერხდა ხე-მცენარეების მიღების დროს.

2.1.10 დაუყოვნებლივ გააფრთხილოს მყიდველი ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

2.1.11 თუ მყიდველს გამყიდველისათვის ჩარიცხული აქვს წინასწარ ნასყიდობის საგნის ღირებულება და გამყიდველმა დროულად ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, გადაუხადოს მყიდველს ყოველ გადაცილებულ დღეზე გადახდილი თანხის 0,2%.

2.2. გამყიდველი უფლებამოსილია:

2.2.1 მოითხოვოს მყიდველისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება.

2.3 მყიდველი ვალდებულია:

2.3.1 მიიღოს ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული ხე-მცენარეები ხელშეკრულების დანართი 1-ით გათვალისწინებული პარამეტრების დაცვით, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

2.3.2 გადაუხადოს „გამყიდველს“ ხელშეკრულების საგნის ღირებულება და მოვლა-პატრონობის საფასური წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ოდენობით.

2.3.3 მოითხოვოს შეთანხმებულ ვადაში პროდუქციის მიწოდება და ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულება.

2.3.4 იმ შემთხვევაში თუ ხე-მცენარეების დასარგავი არეალი რთულად მისადგომი/მიუდგომელი იქნება, მყიდველი ვალდებულია ამწე საშუალებით უზრუნველყოს აღნიშნული ხე-მცენარეების ტრანსპორტირება ან/და გამყიდველს აუნაზღაუროს თავისი ხარჯებით გაწეული ტრანსპორტირების საფასური (წინასწარ შეთანხმებული ტარიფებით).

2.3.5 იმ შემთხვევაში, თუ ის ტერიტორია, რომელზეც უნდა განხორციელდეს ხე-მცენარეების დარგვა იქნება დაბეტონებული, მყიდველი ვალდებულია წინასწარ მოამზადოს ხე-მცენარეებიის დასარგავად აუცილებელი ორმოები.

2.3.6 დროულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

2.3.7 დაუყონებლივ გააფრთხილოს გამყიდველი ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად შესრულებას.

2.4 მყიდველი უფლებამოსილია:

2.4.1 ნასყიდობის უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლის მყიდველის მიერ აღმოჩენის შემთხვევაში, თუ იგი არ გამოსწორდება გამყიდევლის მიერ დროულად, მყიდველი იტოვებს უფლებას შეამციროს

ნასყიდობის საგნის ღირებულება მისი ნაკლისა და შესაძლო ზიანის დადგომის რისკის გათვალისწინებით.

2.4.2. გამყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შეთანხმების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან/და არაჯეროვანი შესრულების დროს მყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება წინასწარი შეტყობინების გარეშე. ასეთ შემთხვევაში მხარეთა შორის განხორციელდება საბოლოო ანგარიშსწორება ფაქტობრივად უნაკლოდ შესრულებული და მიღებული მასალის ღირებულების მიხედვით.

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება და გადახდის პირობები

3.1.1 წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად 1 (ერთი) ძირი ხე-მცენარის ღირებულება შეადგენს 1500 (ათას ხუთასი) ლარს ყველა გადასახადის ჩათვლით. ჯამურად სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 6000 (ექვსი ათასი) ლარს გადასახადების ჩათვლით. თანხა მოიცავს ხე-მცენარის ღირებულებას, ტრანსპორტირებასა და დარგვას (არ მოიცავს ამწე საშუალებას ან და დამატებით ტექნიკას. ასევე, რთულად სამუშაო ნიადაგის შემთხვევაში ორმოების მომზადებას). გადასახადების გადახდის ვალდებულება ეკისრება ინდივიდუალურ მეწარმეს.

3.1.2 მყიდველი ახორციელებს თანხის გადახდას ხელშეკრულების ხელმოწერიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში 50%-ის ოდენობით. ხოლო დარჩენილი 50%-ის გადახდა განხორციელდება სამუშაოების დასრულების შემდგომ 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში.

3.1.3 დარგული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობის ღირებულება შეადგენს ყოველთვიურად 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ შემსრულებლის მიერ ჯეროვნად არ განხორციელდება მოვლა პატრონობა, მყიდველი უფლებამოსილია არ გადაუხადოს შემსრულებელს მოვლა-პატრონობისთვის განსაზღვრული ღირებულება.

3.1.4 ხელშეკრულების საგნის ღირებულება გადახდილ უნდა იქნას უნაღდო ანგარიშწორების გზით „გამყიდველის“ მხარეთა რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე ან/და არაჯეროვან შესრულებაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

4.2 იმ შემთხვევაში თუ „გამყიდველი“ დადგენილი წესით არ განახორციელებს ხელშეკრულების საგნის მიწოდებას, შემდგომ დარგვას „მყიდველს“ წარმოეშობა უფლება ძირითადი ვალდებულების გარდა მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც სახეშეკრულებო ღირებულების 0.5 პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.3.მხარეები პასუხისმგებლობას კისრულობენ აუნაზღაურონ ერთმანეთს მიყენებული ზიანი.

4.4. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ ისინი აღჭურვილნი არიან ამ ხელშეკრულების დადებისა და შესრულების სათანადო უფლებამოსილებით და მოქმედებენ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში.

4.5. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის მათ არ აქვთ დადებული რაიმე გარიგება და არ აქვთ ნაკისრი რაიმე ვალდებულება და მათთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც თუნდაც უმნიშვნელოდ შეაფერხებს, შეაჩერებს ან შეუძლებელს გახდის მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

5. მხარეები ადასტურებენ თავიანთ მზადყოფნას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად, ჯეროვნად და დათქმულ ვადებში შეასრულებენ ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

5. დავის გადაწყვეტის წესი

5.1 მხარეები მიმართავენ ყველა ღონეს, რათა წინაბამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებისას წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყვეტილ იქნას მოლაპარაკების გზით.

5.2 იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა ვერ მიაღწიეს ურთიერთშეთანხმებას, დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოსთვის მიმართვის გზით.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.2 ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებამდე. ხელშეკრულების ხელმოწერის დღეა ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღი.

6.2 მყიდველს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით ინიციატივით ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში მან უნდა აუნაზღაუროს გამყიდველს ჯეროვნად გაწეული მომსახურეობის ღირებულება.

7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები პასუხს არ აგებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ ან მთლიან შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეულია ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ წარმოქმნილი დაუძლეველი ძალის შედეგად, რომელთა წინასწარ გათვალსიწინება და თავიდან აცილება შეუძლებელი იყო (სამხედრო მოქმედებები, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, საგადასახადო განაკვეთების ცვლილება, მთავრობის დადგენილებები და ა.შ.).

7.2 მხარე, რომელიც იმიზეზებს დაუძლეველი ძალით გამოწვეულ შეფერხებებს, ვალდებულია დაუყოვნებლივ ოფიციალურად აცნობოს მეორე მხარეს და მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს შესაბამისი ორგანოს (სამსახურის) მიერ დამოწმებული დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7.3 მხარე, რომელიც მიუთითებს ფორს-მაჟორულ გარემოებებზე, თავისუფლდება თავისი ვალდებულებებისგან იმ ფარგლებში, რომლებშიც მას ხელი შეუშალა ფორს-მაჟორულმა გარემოებებმა, წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტის გათვალისწინებით. ამასთან იგი არ თავისუფლდება ამ ხელშეკრულების იმ სხვა ვალდებულებათა შესრულებისგან, რომელთა შესრულებასაც ხელს არ უშლის ფორს-მაჟორული გარემოებები.

7.4 მხარე, რომელიც მიუთითებს ფორს-მაჟორულ გარემოებებზე, უფლებამოსილია მოითხოვოს ვადის გაზრდა გონივრულ ფარგლებში იმ ვალდებულებათა შესრულებისათვის, რომელთა შესრულება დაგვიანდა ან გადაიდო ასეთი პირობების არსებობის გამო.

8. დამატებითი პირობები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ფორმდება წერილობით, დამატებითი შეთანხმების სახით.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება და დანართი მის განუყოფელ ნაწილად ითვლება.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

9. მხარეთა რეკვიზიტები

მყიდველი	გამყიდველი
შპს „მაქრო ქონსთრაქშენი“	მარინე სიფრაშვილი
ქ.თბილისი,ვაკე-საბურთალოს რაიონი, ფანჯიკიძის (ყოფილი ბუდაპეშტის) ქ.N20	ქ.თბილისი, აღმაშენებლის ქ.N 106
ს/კ 445433120	პ/ნ 01005014669
ბანკი : სს „თიბისი ბანკი“ ა/ნ GE16TB7819336050100003	ბანკი : სს „თიბისი ბანკი“ ა/ნ GE22TB1159036010100019
გენერალური დირექტორი : სერქან ოზერ (პ/ნ U28798619)	
გენერალური დირექტორის მინდობილი პირი: ევგენი ნესტერენკო	
ტელ: 598 89 44 20	ტელ: 599 78 67 57
ელ. ფოსტა : ostapenkonin@gmail.com n.ostapenko@maqro.ge	ელ ფოსტა :marinesiprashvili54@gmail.com

CİHAT GAKIR